www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის რიცხოვნობა

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

27.04.2023
www.geostat.ge

27.04.2023

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით[1]

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 736.4 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.3 პროცენტით მეტია.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (-6 799) და დადებითი მიგრაციული სალდო (54 509).

დიაგრამა №1

მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების კომპონენტები,
ათასი



2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 60.4 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში. ამასთან, ქ. თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენს.

[1] მონაცემები არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებს.

27.04.2023

ცხრილი №1

მოსახლეობის რიცხოვნობა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
რეგიონების და დასახლების ტიპის მიხედვით,

ათასი

რეგიონი	სულ	მათ შორის:	
		საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
საქართველო	**3 736.4**	**2 255.7**	**1 480.6**
ქ. თბილისი	1 241.7	1 210.7	31.0
აჭარის ა.რ.	361.4	210.4	151.0
გურია	104.3	30.9	73.4
იმერეთი	463.1	231.8	231.3
კახეთი	306.2	71.1	235.2
მცხეთა-მთიანეთი	93.3	23.3	70.0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	27.1	6.7	20.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	299.3	120.6	178.7
სამცხე-ჯავახეთი	147.4	54.0	93.3
ქვემო ქართლი	442.8	197.5	245.3
შიდა ქართლი	249.8	98.8	151.0

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება, საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის, აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

27.04.2023

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 20.7 პროცენტს შეადგენს, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის წილი (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) – 63.8 პროცენტს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი – 15.6 პროცენტს.

დიაგრამა №2

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით,
ათასი



27.04.2023

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კაცების რიცხოვნობამ 1 793.8 ათასი შეადგინა, ხოლო ქალების რიცხოვნობამ – 1 942.5 ათასი. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი კაცი, ხოლო 52 პროცენტი – ქალია.

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 92-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ქალზე 92 კაცი მოდის. აღსანიშნავია, რომ 35 წლამდე ასაკში კაცების რიცხოვნობა აღემატება ქალების რიცხოვნობას, ხოლო 35 წლის ასაკიდან სახეზე გვაქვს საპირისპირო სურათი, რაც გამოწვეულია კაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით.

დიაგრამა №3

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით



წინა წელთან შედარებით, 2022 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2.3 ერთეულით გაიზარდა და 73.7 წელი შეადგინა, მათ შორის კაცებისათვის – 69.4 წელი, ხოლო ქალებისათვის – 78.1 წელი.

დიაგრამა №4

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას სქესის მიხედვით,
წელი



2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი შეადგენს 38 წელს.

მიგრაცია

2022 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 125 269 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 25.3 პროცენტით მეტია, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობა 142.9 პროცენტით გაიზარდა და 179 778 კაცი შეადგინა.

ამავე პერიოდში, იმიგრანტების 84.3 პროცენტი და ემიგრანტების 86.7 პროცენტი, შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმოადგენენ.

დიაგრამა №5

იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობა 2022 წელს ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით,

კაცი



2022 წელს, იმიგრანტების 30.3 პროცენტს, ხოლო ემიგრანტების 80.5 პროცენტს საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენენ.

27.04.2023

ცხრილი №2

იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობა
2022 წელს მოქალაქეობის მიხედვით,
კაცი

მოქალაქეობის ქვეყანა	იმიგრანტი	ემიგრანტი
სულ	**179 778**	**125 269**
საქართველო	54 405	100 802
რუსეთის ფედერაცია	62 304	5 935
უკრაინა	20 716	2 004
ბელარუსი	13 361	852
ინდოეთი	3 948	1 412
თურქეთი	3 946	2 064
სხვა ქვეყნის მოქალაქე	21 038	12 147
მოქალაქეობის გარეშე / არ არის მითითებული	60	53

საკონტაქტო პირები:
დონარა რუხაძე, ტელ.: 236 72 10 (686); ელ-ფოსტა: drukhadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), ელ-ფოსტა: mkavelashvili@geostat.ge